ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ელვარე

2023 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს „ელვარეს“ დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ელვარეს” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიას ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიასგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიას ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიას ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Grant Thornton

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს გრანთ თორნთონის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის # SARAS-A-774309)

თბილისი, საქართველო

2024 წლის 19 აგვისტო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	152,519	88,363
არამატერიალური აქტივები		9,275	-
		161,794	88,363
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	4,735,601	3,565,858
ავანსები და წინასწარი გადახდები	6	2,401,772	1,709,827
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,497,613	598,348
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	8	135,963	97,830
		8,770,949	5,971,863
სულ აქტივები		8,932,743	6,060,226
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	9.1	2,037,914	2,037,914
აკუმულირებული მოგება		4,798,359	2,784,948
		6,836,273	4,822,862
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,745,423	345,704
სესხები	10	351,047	891,660
		2,096,470	1,237,364
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,932,743	6,060,226

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2024 წლის 13 აგვისტოს.

გიორგი ხოსიაშვილი	გივი კვანტალიანი
აღმასრულებელი დირექტორი	ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 9-29 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	152,519	88,363
არამატერიალური აქტივები		9,275	-
		161,794	88,363
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	4,735,601	3,565,858
ავანსები და წინასწარი გადახდები	6	2,401,772	1,709,827
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,497,613	598,348
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	8	135,963	97,830
		8,770,949	5,971,863
სულ აქტივები		8,932,743	6,060,226
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	9.1	2,037,914	2,037,914
აკუმულირებული მოგება		4,798,359	2,784,948
		6,836,273	4,822,862
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,745,423	345,704
სესხები	10	351,047	891,660
		2,096,470	1,237,364
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,932,743	6,060,226

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2024 წლის 13 აგვისტოს.

გიორგი ხოსიაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

გივი კვანტალიანი
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 9-29 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი		44,017,890	37,565,111
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(40,379,220)	(33,504,128)
საერთო მოგება		3,638,670	4,060,983
სხვა შემოსავალი		50,757	52,968
დისტრიბუციისადა მარკეტინგის ხარჯები		(330,392)	(210,821)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,138,331)	(1,128,915)
სხვა ხარჯები		(190,941)	(137,137)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		2,029,763	2,637,078
ფინანსური შემოსავალი	14	-	971
ფინანსური ხარჯები	14	(40,782)	(100,056)
მოგება საკურსო სხვაობიდან		24,430	185,378
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,013,411	2,723,371
მოგების გადასახადის (ხარჯი)/აღდგენა		-	-
წლის მოგება		2,013,411	2,723,371
მთლიანი სრული შემოსავალი საანგარიშგებო წლისთვის		2,013,411	2,723,371

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 9-29 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი	2,037,914	2,661,577	4,699,491
წლის მოგება	-	2,723,371	2,723,371
წლის მთლიანი სრული შემოსაალი	-	2,723,371	2,723,371
დივიდენდი	-	(2,600,000)	(2,600,000)
ოპერაციები დამფუძნებლებთან	-	(2,600,000)	(2,600,000)
2022 წლის 31 დეკემბერი	2,037,914	2,784,948	4,822,862
წლის მოგება	-	2,013,411	2,013,411
წლის მთლიანი სრული შემოსაალი	-	2,013,411	2,013,411
2023 წლის 31 დეკემბერი	2,037,914	4,798,359	6,836,273

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 9-29 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		2,013,411	2,723,371
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	13	21,605	18,898
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		(66)	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება	7	173,938	120,492
ფინანსური ხარჯები	14	40,782	100,056
ფინანსური შემოსავლები	14	-	(971)
მოგება საკურსო სხვაობიდან		(24,430)	(185,378)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,225,240	2,776,468
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,073,260)	(123,148)
ცვლილება მარაგებში		(1,199,392)	399,618
ცვლილება სხვა აქტივებში		(701,219)	1,333,100
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		1,398,920	(225,437)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან		650,289	4,160,601
გადახდილი პროცენტი	22	(38,653)	(112,737)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		611,636	4,047,864
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხები		-	(150,000)
გაცემული სესხის დაფარვა		-	150,000
ძირითადი საშუალების რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი		28,666	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(84,554)	(18,921)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		-	971
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(55,888)	(17,950)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	22	400,000	1,043,761
სესხების გადახდა	22	(917,502)	(2,430,687)
გადახდილი დივიდენდი		-	(2,600,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(517,502)	(3,986,926)
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა		38,246	42,988
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე		(113)	(14,945)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	`	97,830	69,787
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		135,963	97,830

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 9-29 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს ელვარე (“კომპანია”) (საიდენტიფიკაციო კოდი: 406325187) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2021 წლის 17 მარტს საქართველოს კანონმდებლობით. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი,

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროსამონტაჟო და ელექტროტექნიკური საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2023 წლის განმავლობაში იყო 27 თანამშრომელი (2022: 23 თანამშრომელი).

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის.კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

აღნიშნულმა მოვლენებმა,შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრულად პროგნოზირება მიმდინარე პერიოდში რთულია.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქიონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია დარიცხვის მეთოდით, ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც წარდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიას ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიას ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული), ვინაიდან მენეჯმენტი თვლის, რომ აღნიშნულ ვალუტაში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება უფრო რელევანტურ ინფორმაციას იძლევა მომხმარებლისთვის. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-16 შენიშვნაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები დაფუძნებულია ხელმძვანელობის ცოდნაზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რეალური შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება შესაბამის წელში, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელ კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემული იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („IFRIC“) მიერ. შესაბამისია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 1 იანვრიდან ან შემდეგ წლიური პერიოდებისთვის

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სანდარტი	**სანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდება**	
ფასს 17	*ცვლილებები ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებებში, მათ შორის ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების განვრცობა.(ფასს 4-ში ცვლილებები)*	*1 იანვარი 2023*
ფასს 12	*ფასს 12 გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად (ბასს 12-ში ცვლილებები)*	*1 იანვარი 2023*
ფასს 17	*ფასს 17-ისა და ფასს 9-ის საწყისი გამოყენება - შედარებითი ინფორმაცია (ფასს 17-ში ცვლილებები)*	*1 იანვარი 2023*
ბასს 8	*სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ში ცვლილებები)*	*1 იანვარი 2023*

ბასს 1	*სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (ცვლილებები ბასს 1-ში და პრაქტიკის განცხადება 2)*	*1 იანვარი 2023*
ბასს 12	*საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - ფილარ ორი მოდელის წესები (ცვლილებები ბასს 12-ში)*	*1 იანვარი 2023*

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის არსებული სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ არ არის ძალაში შესული, კომპანიას ჯერ არ დაუწყია მათი დანერგვა.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ, თუ კომპანია კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას აღნიშნული თარიღისთვის

მენეჯმენტი არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ამ სტანდარტებისა და დამატებების შესაბამისად, რომლებიც ქვემოთ მოცემულია.

სტანდარტი	**სანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდება**	**ძალაში შესვლის თარიღი**
ბასს 1	*ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბასს 1-ში ცვლილებები)*	*1 იანვარი 2024*
ფასს 16	*საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და იჯარის დროს (ფასს 16-ში ცვლილებები)*	*1 იანვარი 2024*
ბასს 1	*გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით (შესწორებები ბასს 1-ში)*	*1 იანვარი 2024*
ბასს 7 და ფასს 7	*ფინანსური შეთანხმებები მომწოდებლებთან (შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში)*	*1 იანვარი 2024*
ბასს 21	*ურთიერთგაცვლის ნაკლებობა (ბასს 21-ში ცვლილებები)*	*1 იანვარი 2025*

3 მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 3.8844 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი

მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხება ცალკ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	-	5-15 წელი
ტრანსპორტი	-	5-10 წელი

3.3 ძირითადი საშუალებებისა გაუფასურება

გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდიში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიას მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიას ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება პერიოდულად, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანია, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, სხვა შემთხვევაში იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასს 15-ის თანახმად აღიარებული არიან ტრანზაქციის ფასით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის დანახარჯებსაც (სადაც გამოყენებადია).

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამოტრიზირებული ღირებულებით აღრიცხული
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით ((FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი საკითხის გათვალისწინების საფუძველზე:

- ფინანსური აქტივების მართვისთვის კომპანიას მიერ გამოყენებული ბიზნეს მოდელი
- ფინანსური აქტივიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა მოგება ან ზარალი, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში, ჩართულია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ პუნქტებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარაჯისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიას ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 17.2 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება არ არის გათვალისწინებული, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივები შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს არა ისეთ ბიზნესმოდელში რომლის მიაზნია, რომ ჯგუფმა მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები (hold to collect), კატეგორიზდება *„რეალური ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ აქტივებად, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აისახება“* (FVTPL). გარდა ამისა, განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ამ კატეგორიის აქტივები იზომება სამართლიანი ღირებულებით, და მათი სამართლიანი ღირევბულების ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში. ამ კატეგორიის ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტიური საბაზრო გარიგებების გათვალისწიენბით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებეს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცლვებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვს), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიას საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 6 დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიას ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შენიშვნა 17.2-ში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც კონტრიბუცია კაპიტალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შესყიდვასთან, აშენებასთან ან შექმნასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც ამ აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე, მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებს.

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას.

მფლობელებთან განხორციელებული ყველა ოპერაცია ცალკე მუხლად აღირიცხება კაპიტალში.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.9 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია - ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო კორექტირებას.

საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი დაბეგვრის ახალი მოდელის („მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“) მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება განაწილებული მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები

დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება.ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახადით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად ბასს 12 ის მოხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებლ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტინის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში ჯგუფს გაუწია მომსახურება, დაქირავებუ;ო პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.12 შემოსავალი

კომპანიას შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება სპილენძისა და ალუმინის კაბელეის გაყიდვიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

კომპანიას ძირითადი შემოსავლის წყარო მოიცავს სპილენძისა და ალუმინის კაბელეის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს.

ზემოთ აღნიშნული შემოსავლის აღიარება ხდება შემოსავლის მიღებისას დროის კონკრეტულ მომენტში.

დროის გარკვეული მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე და კომპანია დაფარავს შესასრულებელ ვალდებულებას, კომპანია ითვალისწინებს

კონტროლთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენების და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღების უნარს. კონტროლი მოიცავს უნარს, ხელი შეუშალოს სხვა სუბიექტებს აქტივის გამოყენებასა და მისგან სარგებლის მიღებაში.

4 ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება			
31 დეკემბერი, 2021 წელი	8,920	90,523	99,443
მატება	18,814	-	18,814
31 დეკემბერი, 2022 წელი	27,734	90,523	118,257
მატება	43,624	40,930	84,554
მარაგებიდან გადმოტანა	29,649	-	29,649
კლება	(9,595)	(31,484)	(41,079)
31 დეკემბერი, 2023 წელი	91,412	99,969	191,381
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2021 წელი	436	10,560	10,996
წლის ცვეთა	2,905	15,993	18,898
31 დეკემბერი, 2022 წელი	3,341	26,553	29,894
წლის ცვეთა	5,385	16,062	21,447
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	(2,915)	(9,564)	(12,479)
31 დეკემბერი, 2023 წელი	5,811	33,051	38,862
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2022 წელი	24,393	63,970	88,363
31 დეკემბერი, 2023 წელი	85,601	66,918	152,519

კომპანიის ყველა ძირითადი საშუალება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებულია მშობელი კომპანიის სესხების უზრუნველყოფისთვის.

ცვეთის ხარჯი დაერიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებს.

5 მარაგები

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	4,730,197	3,561,738
სხვა	5,404	4,120
	4,735,601	3,565,858

კომპანიის ყველა მარაგი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებულია მშობელი კომპანიის სესხების უზრუნველყოფისთვის.

6 ავანსები და წინასწარი გადახდები

ავანსები და წინასწარი გადახდები მოიცავს მშობელ კომპანიაზე გადახდილ ავანს მარაგების შესაძენად, რომელიც 2023 წლის 31 დეკმებრის მდგომარებით შეადგენს 2,124,486 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: 1,671,374 ლარი).

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,792,013	710,065
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(294,430)	(120,492)
სხვა მოთხოვნები	30	8,775
	1,497,613	598,348

თანხები მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანიას ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში გადახედილ იქნა გაუფასურების მაჩვენებლების შესაბამისად. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები არის წარმოქმნილი ძირითადად მომხმარებლების მხრიდან ბიზნესში-ბიზნეს ბაზრაბზე, რომლებიც ფინანსურ სირთულეებს განიცდიან.

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვი, 2023 წლის 31 დეკემბრის საბოლოო ბალანსი, სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსთან მიმართებაში შემდეგნაირია:

ქართული ლარი	2023	2022
საკრედიტო რეზერვის დანაკარგი წლის 1 იანვრის მდგომარეობით	120,492	-
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	173,938	120,492
საკრედიტო რეზერვის დანაკარგი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	294,430	120,492

შენიშვნა18 (ბ) მოიცავს გამჟღავნებას, რომელიც ეხება საკრედიტო რისკის ექსპოზიციას და ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან. როგორც მიმდინარე, ასევე შესადარისი პერიოდების გაუფასურების ანარიცხი იყენებს ფასს 9 - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 18 (ა)-ში.

8 ფული სალაროში და საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	7,095	1,530
ფული საბანკო ანგარიშებზე	128,868	96,300
	135,963	97,830

ფულადი სახსრების ვალუტის მიხედვით განაწილებისათვის იხილეთ შენიშვნა 18 -ში.

9 კაპიტალი და რეზერვები

9.1 საწესდებო კაპიტალი

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი	2,037,914	2,037,914

9.2 დივიდენდი

2022 წლის აგვისტოსა და სექტემბერში მშობელ კომპანიაზე გადახდილია 2,600,00 ოდენობის დივიდენდი. 2023 ფინანსურ წელს დივიდენდი არ გამოცხადებულა.

10 სესხები

ქართული ლარი	მიმდინარე	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	351,047	891,660

უცხოური ვალუტის რისკების კომპანიაზე ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა 18-ში.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	87,954	70,619
მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	1,579,901	62,586
გადასახდელი გადასახადები	77,568	212,499
	1,745,423	345,704

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.
უცხოური ვალუტის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 18-ში.

12 იჯარა

საიჯარო გადახდები რომლებიც არ აღიარებულა ვალდებულებდ

ჯგუფმა გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი (რომელთა მოსალოდნელი ხანგრძლივობა 12 თვე ან ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივებისთვის. ამგვარი გადახდები აღიარდება ხარჯად წრფივი მეთოდით. გარდა ამისა, არ არის ნებადართული ცვლადი გადახდების მქონე იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულების აღიარება და ამგვარი გადახდები აღიარდება ხარჯად, გაწევისთანავე. საიჯარო ვალდებულების განსაზღვრაში არ ჩართული, ხარჯად აღიარებული გადახდები შემდეგია:

ქართული ლარი	2023 წელი	2022 წელი
მოკლევადიანი იჯარები	216,704	223,751

13 ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი

	2023 წელი	2022 წელი
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	715,242	693,369
იჯარის ხარჯი	216,704	223,751
საკონსულტაციო მომსახურება	73,966	106,974
რემონტის ხარჯი	34,786	21,617
ცვეთა და ამორტიზაცია	21,605	18,898
საოფისე ხარჯები	19,460	15,465
კომუნიკაციის ხარჯები	14,967	6,362
საწვავის ხარჯები	10,658	11,332
კომუნალური ხარჯები	10,115	7,134
საბანკო ხარჯი	7,568	6,087
სადაზღვევო ხარჯები	5,588	5,204
მივლინების ხარჯი	4,014	6,779
სხვა	3,658	5,943
	1,138,331	1,128,915

14 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ქართული ლარი

	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე დაკავშირებულ მხარესთან	40,782	100,056
მთლიანი ფინანსური ხარჯები	40,782	100,056
გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	-	(971)
სულ ფინანსური შემოსავალი	-	(971)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(40,782)	(101,027)

15 შემდგომი მოვლენები

2024 წლის განმავლობაში შეიცვალა საბოლოო მშობელი კომპანია (შპს „ენჯითი ჯგუფი“) დამფუძნებელთა სტრუქტურა. შპს „ნკ ინვესტიციებ“-ის საკუთრებაში არსებული 10%-იანი წილი სხვა დამფუძნებლებმა შეიძინეს. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის შპს „ენჯითი ჯგუფის“ სააქციო სტუქტურა შემდეგია: დავით ხოსიაშვილი – 33,3%, დავით სამხარაძე – 33,3% და მამია მოცრაძე.

2024 წლის 11 ივნისს კომპანიამ შეიცვალა იურიდიული სახელი „შპს ენ ერ ჯი ჯორჯია“ და დღეს მას ქვია „შპს ენერჯი ჰოლდინგ ჯორჯია“.

16 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითერბასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

16.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს ნელა მოძრავი მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას და ითვალისწინებს ყველაზე სანდო შესაძლებელ მტკიცებულებას თითოეული საანგარიშგემო პერიოდისთვის. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიებმა ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შესაძლოა შეამციროს მომავალი გადასაყიდი ფასები.

უიმედო და საეჭვო ვალების ანარიცხი

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან. საკრედიტო ზარალათან დაკავშირებით საკითხები იხილეთ შენიშვნა 18-ში

16.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

კომპანია გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას, დირექტორები კმაყოფილნი არიან ბიზენის პროგრესით და მომავალ წელსაც მოელიან ფინანსური ზრდის გაგრძლებას.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,497,613	598,348
ფული საბანკო ანგარიშებზე	135,963	97,830
სულ ფინანსური აქტივები	1,633,576	696,178

ფინანსური ვალდებულებები

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	351,047	891,660
სავაჭრო და სხვე ვალდებულებები	87,954	70,619
სულ ფინანსური ვალდებულებები	439,001	962,279

18 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკების ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიას ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა.

კომპანიას ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები გამოწვეულია კომპანიას უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად დენომინირებულია ამერიკულ დოლარში და ევროში. ჯგუფს ასევე აქვს სესხები დოლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები რომლებიც ჯგუფს დაუცველს ხდის სავალუტო რისკისაგან განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები წარგენილია მმართველი მენეჯმენტისთვის გადაყვანილი ლარში, პერიოდის ბოლოს არსებული განაკვეთით:

მუხლი

2023 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	სხვა
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,376	-
ფულის ბალანსი	-	423
	23,376	423
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	268,940	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,318	-
	279,258	-
წინდა პოზიცია	(255,882)	423

მუხლი

2022 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	სხვა
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	891,660	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,032	-
	908,692	-
წინდა პოზიცია	(908,692)	-

ცხრილი ასახავს დოლარის, ევროს მიმართ ლარის 15% (2023: 15%) გამყარების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 15% (2022: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2022: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15% ით (2022: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ქართული ლარი	აშშ დოლარის გავლენა	
	2023	2022
მოგება/ზარალი	38,382	136,304

უცხოური ვალუტის კურსების ზემოქმედება წლის განმავლობაში იცვლება საზღვარგარეთ განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ანალიზი მიჩნეულია კომპანიას სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმომადგენლად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანია ატარებს საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომელიც მოიცავს ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკი იმართება კომპანიას დონეზე მისი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან და დეპოზიტებთან ბანკში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მომხმარებელების დიდ რაოდენობას სხვადასხვა სექტორებიდან. ჯგუფს არ აქვს უზრუნველყოფა სავაჭრო მოთხოვნების ნაშთზე. ამას გარდა, კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას სხვა ფინანსური აქტევებისთვის (მაგალითად. ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვით მანძილზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე და 2023 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. ჯგუფმა დაადგინა, რომ მთლიანი შიდა პროდუქცია (მშპ), ბიზნეს მომხმარებლებისთვის არის ყველაზე შესაფერისი ფაქტორი და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარება წყდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდონი მოთხოვნების აღდგენისა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შემდეგნაირად:

2023 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0.56%	1,160,572	6,465
1-დან 6 თვემდე	33.86%	519,329	175,853
6 თვიდან 1 წლამდე	100.00%	39,354	39,354
1 წელზე მეტი	100.00%	72,758	72,758
		1,792,013	294,430

2022 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0.28%	589,573	1,650
1-დან 6 თვემდე	97.09%	56,546	54,898
6 თვიდან 1 წლამდე	100.00%	9,707	9,706
1 წლზე მეტი	100.00%	54,239	54,238
		710,065	120,492

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუუნარობას. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს კომპანიას კონტრაქტის დაფარვის ვადამდე არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებს შეთანხმებული გადახდის პერიოდის მიხედვით. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		6.6%	
6 თვეზე ნაკლები	87,954	362,575	450,529

2022	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		6.6%	
6 თვეზე ნაკლები	70,619	906,098	976,717

ლიკვიდურობის რისკის შესაბასებლად კომპანია იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიზნით.

19 რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანია გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია რეალური ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 – რეალური ღირებულება განისაზღვრება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარებზე მოპოვებული კოტირებული ფასებით (გაუკორექტირებელი);
- დონე 2 – რეალური ღირებულება განისაზღვრება მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემით, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ანუ ფასების მიხედვით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) და;
- დონე 3 - რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტივის ან ვალდებულების შესახებ არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით (არადაკვირვებადი მონაცემები).

19.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით

საბანკო და სხვა სესხების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

რეალური ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ღირებულების ტექნიკის გამოყენებით.

19.2 არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფს არ აქვს არაფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, პერიოდულობის საფუძველზე 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

20 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიას კაპიტალის სტრუქტურა შედგება დედა კომპანიის მფლობელებზე მიკუთნებული საკუთარი კაპიტალის წილისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ ზარალს, რომელიც შედგება შენიშვნა 9-ში განხილული სესხებისგან.

კომპანია აკონტროლებს კაპიტალის მდგომარეობას „წმინდა ვალისა“და „კორექტირებული კაპიტალის“ კოეფიციენტების მეშვეობით.

ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ვალი		
სესხები	351,047	891,660
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(135,963)	(97,830)
	215,084	793,830
კაპიტალის კორექტირება		
მთლიანი კაპიტალი	6,836,273	4,822,862
წმინდა ნასესხები თანხების თანაფარდობა კაპიტალთან	0.03	0.16

21 გაუთვალისწინებელი გარემოებები

21.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე დაზღვეული არ აქვს თავისი შენობები, ბიზნესის შეფერება, ან მესამე მხარის პასუხისმგებლობა კომპანიას ქონებაზე მომხდარი უბედური შემთხვევის ან კომპანიას ოპერაციებთან დაკავშირებული საკუთრების ან გარემოს ზარალთან დაკავშირებით. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვა ან განადგურება ან გარემოსთვის ზიანის მიყენება არსებითად უარყოფით გავლენას მოახდენსკომპანიას ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

21.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

21.3 გარემოსდაცვითი საკითხები

მენეჯმენტის აზრით, კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში შესაბამისად, თვლის, რო კომპანიას არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი მატერიალური ეკოლოგიური ვალდებულებები. თუმცა, საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა შემუშავების პროცესშია, კანონმდებლობაში პოტენციური ცვლილებებია და მისმა ინტერპრეტაციამ შეიძლება მომავალში გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მატერიალური ვალდებულებები.

22 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

კომპანიას ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ქართული ლარი

	არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	სულ
2022 წლის 1 იანვარი	2,491,076	2,491,076
ფულადი ნაკადების მოძრაობა:		
აღება	1,043,761	1,043,761
გადახდები	(2,430,687)	(2,430,687)
საპროცენტო გადახდები	(112,737)	(112,737)
არაფულადი ცვლილებები:		
დარიცხული პროცენტი	100,056	100,056
მოგება/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(199,809)	(199,809)
2022 წლის 31 დეკემბერი	891,660	891,660
ფულადი ნაკადების მოძრაობა:		
აღება	400,000	400,000
დაფარვა	(917,502)	(917,502)
საპროცენტო გადახდები	(38,653)	(38,653)
არაფულადი ცვლილებები:		
დარიცხული პროცენტი	40,782	40,782
მოგება/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(25,240)	(25,240)
2023 წლის 31 დეკემბერი	351,047	351,047

23 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

23.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს შპს „ენერჯი ჰოლდინგ ჯორჯია“ კომპანია, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს. კომპანიის საბოლოო მშობელი არის შპს „ენჯითი ჯგუფი“ რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში და მისი ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან: დავით ხოსიაშვილი – 30%, დავით სამხარაძე – 30%, მამია მოცრაძე – 30% და შპს „ნკ ინვესტიციები” – 10%.

23.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ქართული ლარი ოპერაციები	2023 წელი	2022 წელი
მშობელი კომპანია		
საიჯარო ხარჯები	(66,934)	(74,042)
მარაგების შესყიდვა	(38,399,073)	(31,437,821)
შემოსავალი	105,821	35,108
ძირითადი საშუალების შეძენა	-	(8,171)
სხვა ხარჯები	(3,390)	(1,243)
სხვა		
საქონლის რეალიზაცია	7,842,424	8,558,760
მარაგების შესყიდვა	(228,585)	(7,211)
სესხის აღება	400,000	1,043,761
სესხის დაფარვა	(917,502)	(2,543,424)
დარიცხული პროცენტი	(40,782)	(100,056)

ქართული ლარი ნაშთები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მშობელი კომპანია		
გადახდილი ავანსი	2,124,486	1,671,374
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,461	5,536
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(6,724)	(13,510)
სხვა		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	427,009	261,639
მიღებული სესხები	(351,047)	(891,660)

23.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და ახლო ოჯახის წევრებთან

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორებსა და მათ ახლო ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ შპს „ენერჯი ჰოლდინგ ჯორჯიაში“-ში მნიშვნელოვანი წილი.

მმართველმა ხელმძღვანელობამ მიიღო შემდგომი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რაც შედის ხელფასების უწყისში და თანამშრომელთა სარგებელში.

ქართული ლარი	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები და პრემიები	187,500	254,875